პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975 ოთხშაბათი 8 იანვარი № 6 (16132) ფასი 2 კაპ. 1975

ზომუნისტეგისა და კომკავშირელეგის მოვალეობაა სათავეში ჩაუდგენენ შეჯიბრეგას, იყვნენ მისი სულისჩამდგმელი და მაორგანიზებელი ძალა, გვიჩვენებდნენ მაღალი შეგნებისა და შემოქმედებითი აქტივობის მაგალითს საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

დეპუტატის შრომითი ვახტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიიდან რომ დაბრუნდა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ხარატმა ბორის მშვიდობაძემ მუშაობა დაიწყო 1975 წლის აგვისტოს თვის ანგარიშში.

დიდი ყურადღება ეთმობა ქარხანაში ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებას. ბათუმელები მთელი პროდუქციის 23,8 პროცენტს ხარისხის სახელმწიფო ნიშნით უშვებენ.

ამ დღეებში ქარხანაში მუშაობს საატესტაციო კომისია, რომელმაც კიდევ ორ ელექტროურიკას უმაღლესი კატეგორია უნდა მიანიჭოს.

ხარატმა ბორის მშვიდობაძემ ქარხნის კოლექტივთან ერთად გადაწყვეტა ახალ წელს გამოუშვას მხოლოდ ჩინებული ხარისხის დეტალები.

სურათზე: ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბორის მშვიდობაძე.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დიდ მიზანს — დიდი ენერგია!

ახალ, 1975 წლის ამ პირველ დღეებში, როცა ჩვენმა ქვეყანამ შესანიშნავი შრომითი სტარტი აიღო, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის საქართველოს მშრომელები, ახალი დიდი შემართებით შეუდგნენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პასუხსაგებ ამოცანათა პრაქტიკულად გადაჭრას, როცა თვითეულ შრომითს კოლექტივში, ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა უბანზე ეეშმარიტი შემოქმედებითი წვა და ძიებაა, მთელი ძალით გაისმა ლენინური პარტიის მოწოდებათა ღრმად შთამბეჭდავი, შთამაგონებელი ხმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ბ. ბრეჟნევისა, საბჭოთა ხალხისადმი ყველგან შეხვდნენ დიდი აღფრთოვანებით, საყოველთაო მოწონებითა და კმაყოფილებით.

საქართველოს შრომელთა სურვილები, განწყობილებანი შესანიშნავად გამოხატა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამწყობ-ზეინკალმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ასათიანმა, რომელმაც განაცხადა, რომ პარტიის მოწოდებას — აქციურად ვბრძოლოთ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის — პირადად იგი და მისი ამხანაგები ყოველი დღის მხოლოდ დამკვრელური შრომით უპასუხებენ, ვადამდე და ვადაჭარბებით გაანაღდებენ პროდუქციის მოცულობისა და ნომენკლატურის გეგმებს, დიდი ეფექტიანობით გამოიყენებენ სამუშაო დროს, მოწყობილობას, ნედლეულს...

ასეთ პატრიოტულ სიტყვებს წარმოთქვამენ ამ დღეებში შრომითი კოლექტივების ხალხმრავალ მიტინგებზე, კრებებსა და შეხვედრებზე ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა უბანზე მომუშავე ადამიანები, რომელებიც გულდასმით, უდიდესი ყურადღებით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გულთბილსა და ბრძნულ სტრიქონებს.

მიმართვაში — ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტში მთელი სინათლითა და სისრულით გამოხატულია საბჭოთა ადამიანების ფიქრები და გრძნობები, მათი კეთილშობილური, პატრიოტული მისწრაფებანი. მასში ღრმა, მეცნიერული ანალიზი აქვს გაკეთებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა უბანზე მოპოვებულ მიღწევებს, ზუსტად არის განსაზღვრული ამოცანები, რომლებიც უნდა გადავწყვიტოთ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.

— მიმდინარე წლის ჩვენი ამოცანები, — ნათქვამია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, — განსაზღვრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ. 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება — ეს იქნება ახალი დიდი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების, სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე.

თავიანთი კონკრეტული საპატიო და პასუხსაგები ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი მიმდინარე წელს საბჭოთა საქართველოს მშრომელებს, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმებმა, რომელთა შედეგებს სწორედ ახლა, ამ დღეებში ფართოდ და საქმიანად განიხილავენ კომუნისტთა კოლექტივებში, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ, რომელმაც დაამტკიცა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი, თვალნათლივ ცხადყვეს მეცხრე ხუთწლედის ამ დამამთავრებელ წელს ჩვენს წინაშე დასახული სახალხო-სამეურნეო ამოცანების უდიდესი მასშტაბურობა, მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა.

საჭიროა სწორედ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს, აგრეთვე რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და აქტივის კრებებზე, რომლებიც მალე ყველგან გაიმართება, კონკრეტულად თქვას, ჩამოყალიბდეს და განისაზღვროს პარტიულობა, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით თვითეული პარტორგანიზაციის, თვითეული პარტიული ორგანოს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საფუძველი ამოცანები.

ახლა მთავარზე მთავარია, რომ კომუნისტებმა რესპუბლიკის ყველა მშრომელს გააგებინონ მიმართვის ღრმა აზრი, დარაზმონ ისინი ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და წარმატებით შესრულებისათვის. საამისოდ უფრო გონივრულად, უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენონ პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, იდეოლოგიური საქმიანობის მთელი არსენალი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გულმოდგინე განმარტებასთან ერთად დამჯერებელი პროპაგანდა გაუწიონ ჩვენს მეწარმეებსა და დადებითს გამოცდილებას, საფუძვლიანად გააანალიზონ ახალი ტალღები, გამოიჩინონ მეტი მომთხოვნელობა და პრინციპულობა, იმის უნარი, რომ დროულად გამოსწორდეს არსებული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV და XV პლენუმებზე ხაზგასმით აღინიშნა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევაში მოპოვებული ზოგიერთი წარმატებანი სრულიადაც არ გვაძლევს საფუძველს თვითდამშვიდებისათვის, გულარხეინობისათვის.

ჭეშმარიტად, სასიხარულო სტატი აიღო ხუთწლედის განმასაზღვრელმა წელმა, რომელიც უფრო და უფრო თავის ნამდვილ უფლებებში შედის. განვლილი ერთი კვირა ჩვენს რესპუბლიკაში აღინიშნა ადამიანთა მაღალი აქტივობით, ნამდვილი დამკვრელური, შემოქმედებითი შრომით. სამრეწველო საწარმოებიდან, მშენებლობებიდან, კოლმეურნეობებიდან თუ საბჭოთა მეურნეობებიდან მოდის სასიხარულო ცნობები წლის პირველი დღეების დავალებათა დიდი გადაჭარბებით შესრულების, ახალი თაოსნობებისა და ინიციატივის დაბადების, ახალი სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მწყობრში ჩადგომის თაობაზე.

მაგრამ ეს დღეები განსაკუთრებით დამშვენდა საქართველოს მშენებელთა დიდი გამარჯვებით — მწყობრში ჩადგა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგი. დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის ფლაგმანის — სკკპ XXIV კონგრესის დირექტივებით გათვალისწინებული ობიექტის მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი. ეს გამარჯვება გულითადად მიუღოცეს საქართველოს მშრომელებს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

ეს ერთი და სხვა მრავალი! იმედია, მადნეულელთა დამკვრელური სუსტაფეტა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელს, ყველა შრომითს კოლექტივს გადაეცემა!

დიდ მიზანს — დიდი ენერგია!

ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე, თქვენთან ერთად დიდად ვგლოვობთ და გიცხადებთ სამძიმარს თქვენი დიდი მწუხარების — დედათქვენის ნატალია დენისის ასულის გარდაცვალების გამო.

ჩვენ ყველანი პატივს ვცემდით და დიდად ვაფასებდით ნატალია დენისის ასულს თავმდაბლობისათვის, გულკეთილობისა და გულისხმიერებისათვის.

ამ მძიმე წუთებში, გულისტკივილით ვიზიარებთ რა თქვენს მწუხარებას, ჩვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, როგორც ყოველთვის, თქვენთან ვართ.

ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, დ. ა. კუნაევი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. კელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ვ. ვ. შჩერბიცკი, პ. ნ. დემიჩევი, ა. მ. მაზუროვი, გ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, გ. ვ. რომანოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი.

ხუთნლედის 1975 დასამთავრებელი

საქმით ვუპასუხოთ პარტიის მოწოდებას!

დამკვრელური შრომით

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა თბილისის № 5 ავტოსატრანსპორტო საწარმოში. მიტინგი გახსნა საწარმოს დირექტორმა ს. კვინიკაძემ.

მიტინგზე გამოსულმა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. ჩიჯავაძემ თქვა:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი ჩვენთვის შემდგომ შრომითის გამარჯვებათა მტკიცე საფუძველი გახდება. ვალდებულებას ვკისრულობთ დავზოგოთ ასიათასი ლიტრი ბენზინი, ორი პროცენტი ავტორეზინი. გადავწყვიტეთ 20 დეკემბრისათვის შევასრულოთ წლიური გეგმა და დავალების გადამეტებით გადავზიდოთ 120 ათასი ტონა ტვირთი.

მიტინგის მონაწილეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი მისწრაფება ეშრომონ წელს ისე, როგორც მოუწოდებთ პარტია, წარმატებით შეასრულონ ხუთწლიანი დავალება.

(საქინფორმი).

მეავტოჯეთა ახალი მიჯნები

თბილისის „ავტოჯის კომბინატ „განთიადის“ ყველა უბანში უდიდესი ინტერესით ეცნობიან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას. წარმოების მუშაკებმა აღფრთოვანებით აღიქვეს ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. მათ თავიანთი ფიქრები და მისწრაფებანი გამოთქვეს აქ გამართულ მიტინგზე. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მედაზგეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ხაძაგლიშვილმა. მან თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მას, და ყველა მის ამხანაგს შთაგაგონებს კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევას. ნ. ხაძაგლიშვილმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მისმა ბრიგადამ უკვე შეასრულა თავისი ხუთწლედი.

კომბინატმა კარგი მაჩვენებლები ნოიემბერ გასულ წელს. იგი შრომის ტემპს არ აწელილს ხუთწლედის, დამამთავრებელ წელსაც. მიღებულია შემჩვეული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ასი ათასი ბანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას. ამ ამოცანათა წარმატებით რეალიზაციის მთავარი რეზერვია საფარე დეტალების დასამუშავებელი ორი ხაზის სპრეტაფო სიმძლავრეთა ათვისება, ანათალი შპონის შეცვლა სინთეზური შპონით. კარადების ასაწყობი ახალი კონვეიერის ამოქმედება და სხვ.

ამის შესახებ მიტინგზე ილაპარაკეს კომბინატის დირექტორმა პ. დუნდუამ პარტკომის მდივანმა ო. კეშელავამ, ბრიგადების ხელმძღვანელებმა გ. კაკაბაძემ და ს. კელასხვა. (საქინფორმი).

მექანიზატორთა სიტყვა

სიღნაღი. 6 იანვარი. (საქინფორმის კორ.). „საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის რაიონული განყოფილების მმართველმა ბ. ტარყაშვილმა მექანიზატორებსა და შემკეთებლებს გააცნო პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა.

—ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტი, — თქვა მოწონაგე მექანიზატორმა კ. ბიწაძემ,—მუშებს მიაჩნიათ მოქმედების საბრძოლო პროგრამად. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ხუთწლედის დამამთავრებელი წელი აღვნიშნოთ ახალი შრომითი გამარჯვებებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად მიტინგის მონაწილეებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია ტექნიკის, მათ შორის 138 ტრაქტორის შეკეთება დაამთავრონ 25 თებერვლისათვის, მარცვლის ასაღები ტექნიკის რემონტი—20 აპრილისათვის. მექანიზატორები ვარაუდობენ თვითეული ჰექტარი მიწის დამუშავების თვითღირებულება საშუალოდ შეამცირონ 20 პროცენტით და წლიური გეგმა შეასრულონ 11 თვეში.

ზრდიან სამუშაოთა ტემპს

ბურჯაანი, 6 იანვარი. (საქინფორმის კორ.). დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

—მეურნეობაში ვენახების ხაერთო ფართობი 693 ჰექტარს შეადგენს,— თქვა მევენახეთა მეშვიდე ბრიგადის ხელმძღვანელმა შ. ბეფლანშვილმა.— შარშან სასელმწიფოს დავალების დამატებით მივყიდეთ 674 ტონა ყურძენი, წელს კი ვაპირებთ მივყიდოთ 1000 ტონით მეტი. საერთო წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ აგრეთვე ვ. არდაზიშვილის, ს. მარტაშვილისა და ლ. კორკოტაშვილის ბრიგადებს.

მეურნეობაში გაწაღდა ბრძოლა ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის. კარდანახელი მშრომელები აჩქარებენ სამუშაოთა ტემპს.

პირველი დღეების რიტმი

თბილისი. № 1 ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის განაღდა, ხოლო რეალიზაციისა — 26 დეკემბრისათვის. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვა 50 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია.

ქარხნის კოლექტივი გულდასმით გაეცნო პარტიის მიმართვას და გადაწყვიტა ყოველ დღეს იმუშაოს დამკვრელურად და ყველა დაკვეთა გრაფიკით შეასრულოს. იანვრის პირველი ხუთი დღის დავალება გადაჭარბებით შეგასრულეთ. ეს რედაქციას აცნობა ქარხნის დირექტორმა ბ. ზალდასტანიშვილმა.

ბრრი. ბამბეულის კომბინატის კოლექტივმა დაბირება პირნათლად შეასრულა. პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალება სამშობლოს 23 დეკემბრისათვის უპატაჯა. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1.800 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინა მისი რეალიზაცია. მომხმარებელმა დამატებით მიიღო 150 ტონა ნართი, 770 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი. ფეიერბმა პარტიის მიმართვის საპასუხოდ ერთსულოვნად გადაწყვიტეს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ყოველ დღეს იშრომონ დამკვრელურად.

ეს რედაქციას აცნობეს კომბინატის დირექტორმა ბ. შარიპაძემ, პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. ფალაძიშვილმა, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ჩიჩქოშვილმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლებისა და რესპუბლიკის მეურნეობებში კულტურული სარწყავი საძოვრების შექმნის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, რომლებიც მიიღეს 1971 წლის აპრილსა და ივლისში და 1972 წლის დეკემბერში და რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. მეტ წილ რაიონებში ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების პროდუქტიულობის გადიდებას, ხარისხიანად არ სრულდება, არ სრულდება აგრეთვე საგვგმო დაკალებანი. ამის შედეგად ბუნებრივი სათიბების თივის მოსავალი უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მერყეობს 13,5-13,7 ცენტნერის ფარგლებში. დაბალია ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების პროდუქტიულობაც.

სათიბებისა და საძოვრების ძირეული გაუმჯობესების გეგმა 1971-1974 წლებში შესრულდა მხოლოდ 18,3 პროცენტით. შეუწყნარებლად ნელა მიმდინარეობს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარწყავი კულტურული საძოვრების მოწყობის საქმეშაობი. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს 1973-1974 წლებში უნდა შექმნა სარწყავი კულტურული საძოვრები 5.750 ჰექტარზე, მაგრამ 1974 წლის დეკემბრის დამდეგისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცა მხოლოდ 1.710 ჰექტარი, და გეგმა 29,7 პროცენტით შესრულა. ამასთან ირღვეოდა სარწყავი კულტურული საძოვრების მოწყობის წესები. უხეშად ირღვეოდა აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საძოვრების გაწყლოვანების დავალებანი. საძოვრების გაწყლოვანების ხუთწლედის ოთხი წლის გეგმები მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ შეასრულა 21,1 პროცენტით, და სარწყულებელ ნაგებობათა რეკონსტრუქციისა — 10,7 პროცენტით.

ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლებისა და კულტურული სარწყავი საძოვრების შექმნის დავალებათა ჩაფუშვის ძირითადი მიზეზებია მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამშენებლო ორგანიზაციების, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობა, გულგრილი დამოკიდებულება საძოვარი მდელოების მეურნეობის საარსებო საკითხებისადმი, აგრეთვე ის, რომ მათ საკმარისი მომთხოვნელობით არ ეკიდებოდნენ პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები, სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები, ყოფილი საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, რესპუბლიკური „საქსოფლტექნიკა“, რომლებმაც ვერ მოგვარეს „ოპერატიული ხელმძღვანელობა“ და სისტემატური კონტროლი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესაბამის დადგენილებათა შესრულებისადმი. მაგალითად, მეცხრე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ძირეული გაუმჯობესება არ მომხდარა სავარგულების დიდი მასივების მქონე მეცხოველეობის ისეთი რაიონების მეურნეობებში, როგორიცაა, ახალციხის, ადიგენის, ბოგდანოვკის, წალკის, თეთრი წყაროსა და რიგი სხვა რაიონები. ახალქალაქის, წითელწყაროსა და სიღნაღის რაიონების კოლმეურნეობებში ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესების გეგმა შესრულებულია შესაბამისად 2,7, 0,7 და 3,9 პროცენტით.

გამოვლინდა სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშგებაში წამატების ფაქტები, რაც ზოგიერთმა მეურნეობამ ჩაიდინა, აგრეთვე სამუშაოთა მოცულობის ხელოვნური გადიდების ფაქტები, სხვა სეროზული ნაკლოვანებანი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ თითქმის არც ერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში არ არის შექმნილი სპეციალიზებული ბრიგადები და რგოლები ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების სამუშაოთა მოსაწყობად, იფუშება მრავალწლოვანი ბალახების თესლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. ჯერ კიდევ საკმარისი რაოდენობით არ გამოყოფენ მინერალურ სასუქებსა და ჰერბიციდებს სათიბებისა და საძოვრებისათვის, „საქსოფლტექნიკა“ არ უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის მდელოსმელიორაციო ტექნიკის შეტანას, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დროზე არ აფორმებენ ხელშეკრულებებს მანქანა-მეცხოველეობის სადგურებთან და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოსთან სათიბებისა და საძოვრების გასაუმჯობესებელი სხვადასხვა ღონისძიებების შესასრულებლად, არ ინერგება იმ კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების წახალისების ღონისძიებები, რომლებიც დასაქმებული არიან ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლების სამუშაოებზე, გაშლილი არ არის ქმედითი სოციალისტური შეჯიბრება გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად ცხო სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროების, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკისა“ და ყოფილი საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მუშაობა ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებისა და კულტურული სარწყავი საძოვრების შექმნის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შესასრულებლად.

ცენტრალურმა კომიტეტმა დავალა პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონულ მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ ორი თვის ვადაში განიხილონ საკითხი, თუ როგორ სრულდება მეცხრე ხუთწლედის დავალებანი ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლებისა და სარწყავი კულტურული საძოვრების შექმნის შესახებ, დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ უზრუნველყონ მათი უთუო შესრულება ამ მოცულობით, რომელსაც ითვალისწინებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 13 აპრილისა და 1972 წლის 26 დეკემბრის დადგენილებანი.

რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“ დავალა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებში ყოველწლიურად გითვალისწინოს საჭირო მდელოსმელიორაციო და თივის ასაღები ტექნიკის, მდელოებისა და საძოვრების მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად ჰერბიციდების შეზიდვა, უზრუნველყოს მანქანა-მეცხოველეობის სადგურების აქტიური მონაწილეობა ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების სამუშაოებში. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად უნდა შეისწავლოს სარეველების წინააღმდეგ ბრძოლაში ავიაციის ფართო გამოყენებისა და ბუნებრივ საკვებ სავარგულებში სასუქების შეტანის შესაძლებლობანი და დაადგინოს სათიბებისა და საძოვრების დასამუშავებელი ფართობები, აგრეთვე სამუშაოთა მოცულობა 1976-1980 წლებისათვის.

საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ სასწავლო-საკვლევ ინსტიტუტს დაევალა გააძლიეროს მეცხიერულ-საკვლევი სამუშაოები, რათა გამოძებნონ ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების ეფექტიანი მეთოდები და შეიმუშაონ შესაბამისი რეკომენდაციები ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, კვების მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტაყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1975 წლის 1 აპრილამდე უნდა წარუდგინონ ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებული ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების, 1976-1980 წლებისათვის კულტურული სარწყავი საძოვრების შექმნის კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმები, ამასთან აღნიშნონ მათი შესრულების მოცულობა წლების მიხედვით თვითეული რაიონისათვის.

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობის ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა ბუნებრივი საკვები სავარგულების უზარისხო შესრულებისა და ჩატარებულ სამუშაოთა შესახებ ყალბი აქტის შედგენისათვის „საქსოფლტექნიკის“ სიღნაღის რაიონული განყოფილების მმართველის მოადგილე ამხ. ს. მირიანაშვილი მოხსნილია სამუშაოდან. სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველის ინჟინერ-მელიორატორს ამხ. შ. ორუჯაშვილსა და სოფელ ბოდბისხევის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომს ამხ. ი. ნაცვლიშვილს გამოეცხადათ საყვედური დაუმთავრებელ სამუშაოთა მიღებისათვის.

ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობად, რომ ახალქალაქის რაიონში კულტურული სარწყავი საძოვრების შესაქმნელად სამუშაოთა დაბალი ხარისხისა და სამუშაოთა მოცულობის ხელოვნური გადიდებისათვის „წყალმშენის“ ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს უფროსსა ამხ. ა. ხავთასი მოხსნილია თანამდებობიდან. ამ სამუშაოთა უშენიშვნოდ მიღებისათვის მიმღები კომისიის თავმჯდომარე, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსი ინჟინერი ამხ. ა. ტერ-პეტროსიანი განთავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან.

თელავის რაიონში კულტურული სარწყავი საძოვრების შექმნაში დიდი ხარვეზებისა და პროექტის დარღვევისათვის „ალაზანმშენის“ ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველოს უფროსს ამხ. ი. სანადირაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური ააღრიცხვო ბარათში შეტანით. ხოლო ამ სამეკრებს უშენიშვნოდ მიღებისათვის მშენებარე ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის დირექტორს ამხ. გ. წერეთელს გამოეცხადა საყვედური ააღრიცხვო ბარათში შეტანით.

ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესების სამუშაოთა შესრულების შესახებ ანგარიშში წამატებებისათვის დმანისის რაიონის ეკის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. ი. ისმაილოვს გამოეცხადა სასტიკი საყვედური ააღრიცხვო ბარათში შეტანით.

(საქინფორმი).

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ᲐᲠᲘᲡᲛᲔᲜᲓᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

6 იანვარს მოსკოვში ჩამოვიდა ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ლათინური ამერიკისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე როდნი არისმენდი.

რ. არისმენდის დასაცავად საბჭოთა ხალხის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხების მტკიცე გამოსვლებს, პროლეტარული სოლიდარობის მსოფლიო კამპანიის, საერთაშორისო პროგრესული საზოგადოებრიობის აქტიური პროტესტების, ურუგვაელი მშრომელების მოთხოვნის შედეგად პატიმრობიდან განთავისუფლებულია რ. არისმენდი. ჩაიფუშა რეაქციისა და იმპერიალისტური წრეების ცდები გაესამართლებინათ ურუგვაის კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის გამოჩენილი ხელმძღვანელი ცნობილი მეცნიერი მარქსისტი. მეფარი რეფორმიზმი და რეაქციის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი.

რ. არისმენდისა და მის მეუღლეს ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს ა. ლეგასპი და არისმენდის აეროდრომზე შეხვდნენ ს

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲠᲘ I
ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მუხლი 1. სახელმწიფო ნოტარიატის ამოცანები

სახელმწიფო ნოტარიატის ამოცანებია სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სოციალისტური კანონიერებისა და მართლმსაჯულების განმტკიცება, სამართალდარღვევების თავიდან აცილება ხელშეკრულებებისა და სხვა გარიგებების სწორი და დროული დადასტურების, მემკვიდრეობის უფლებების გაფორმების, საჯაროსრულებო წარწერებისა და სხვა სანოტარო მოქმედების შესრულების გზით.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ შედგება სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონისაგან და მის შესაბამისად მიღებული სსრ კავშირის კანონმდებლობის სხვა აქტების, ამ კანონისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან.

მუხლი 3. სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ორგანოები და თანამდებობის პირები

სანოტარო მოქმედების შესასრულებლად საქართველოს სს რესპუბლიკაში იქმნება სახელმწიფო სანოტარო კანტორები.

საქართველოს სსრ დედაქალაქ თბილისში, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ დედაქალაქებში — სოხუმსა და ბათუმში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრში — ქალაქ ცხინვალში ერთ-ერთი სახელმწიფო სანოტარო კანტორა იქმნება როგორც პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორა. ყველაზე რთული სანოტარო მოქმედებისა და სხვა ფუნქციების შესასრულებლად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო კანტორები, სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონით და ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული სანოტარო მოქმედებას ასრულებენ მწრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო ნოტარიუსებს (უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსები, უფროსი სახელმწიფო ნოტარიუსების მოადგილეები, სახელმწიფო ნოტარიუსები).

სანოტარო მოქმედებას მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში ასრულებს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან მდივანი, რომელსაც შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დავალებული აქვს ამ მოქმედების შესრულება.

ნოტარიულად დადასტურებული დოკუმენტების ძალის მქონე ანდერძებისა და რწმუნებულებების დადასტურება შეუძლიათ აგრეთვე ამ კანონის მე-16 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირებს.

მუხლი 4. სახელმწიფო ნოტარიატის ხელმძღვანელობა.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სახელმწიფო ნოტარიატს საქართველოს სს რესპუბლიკაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საქართველოს ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილება, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის და საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება

სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშნებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება.

პირები, რომლებიც დანიშნენ სახელმწიფო ნოტარიუსის თანამდებობაზე, სტაჟირებას გაივლიან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

უფროს სახელმწიფო ნოტარიუსებს, მათ მოადგილეებს და სახელმწიფო ნოტარიუსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკასა და ავტონომიურ ოლქში შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსი.

სახელმწიფო ნოტარიუსებს არ შეუძლიათ იმსახურონ სხვა დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს იმ სახელმწიფო ნოტარიუსებისათვის, რომლებიც პედაგოგიურ ან მეცნიერულ შუმაობას ეწევიან.

მუხლი 6. სანოტარო მოქმედების შესრულება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე

სახელმწიფო ნოტარიუსები და საქართველოს სსრ სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროების ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე აქტებით, რომლებსაც სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები გამოსცემენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

სახელმწიფო ნოტარიუსები და საქართველოს სსრ სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მათი უფლებების განხორციელებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში, განუმარტონ მათ უფლება-მოვალეობანი, გააფრთხილონ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შედეგების შესახებ, რათა იურიდიული გაუნათლებლობა და სხვა მსგავსი გარემოებანი გამოყენებული არ იქნეს მათ საზიანოდ.

აუცილებელ შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსებმა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელმა სხვა თანამდებობის პირებმა მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თხოვნით, რომლებმაც მათ სანოტარო მოქმედების შესასრულებლად მიმართეს, უნდა შეადგინონ გარიგებათა და განცხადებათა პროექტები, მოამზადონ დოკუმენტების პირები და მათი ამონაწერები, აგრეთვე მისცენ განმარტება სანოტარო მოქმედების შესრულების საკითხებზე.

მუხლი 9. სანოტარო საქმისწარმოების ენა

სახელმწიფო სანოტარო კანტორებსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში სანოტარო საქმისწარმოება მიმდინარეობს შესაბამისად ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ენაზე.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებში სანოტარო საქმისწარმოება მიმდინარეობს იმავე ენაზე, რომელზეც მიმდინარეობს სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებათა საქმისწარმოება.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელმა პირმა არ იცის ის ენა, რომელზედაც საქმისწარმოება მიმდინარეობს, გასაფორმებელი დოკუმენტების ტექსტი მას უნდა უთარგმნოს სახელმწიფო ნოტარიუსმა ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელმა სხვა თანამდებობის პირმა ანდა მთარგმნელმა, რომელსაც იცნობს სახელმწიფო ნოტარიუსი თუ სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირი.

თუ პირს არ შეუძლია ხელი მოაწეროს იმ ენაზე, რომელზედაც შედგენილია დოკუმენტი, ის ხელს აწერს იმ ენაზე, რომელიც მან იცის.

მუხლი 10. სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელი და შტატები

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელი მტკიცდება იმ წესით, რომელსაც ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ამ კანტორებისათვის დადგენილი სამტატო ერთეულების რაოდენობის, ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით.

მუხლი 11. სანოტარო კანტორის შესანახი სახსრები

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების შენახვა ხდება რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მუხლი 12. სახელმწიფო სანოტარო კანტორის ბეჭედი

სახელმწიფო სანოტარო კანტორებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და კანტორის სახელწოდება.

ᲙᲐᲠᲘ II
სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები და სხვა ორგანოები

მუხლი 13. სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები

სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

1) ადასტურებენ გარიგებებს (ხელშეკრულებებს, ანდერძებს, რწმუნებულებებს და სხვა);
2) იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად;
3) გასცემენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობებს;
4) გასცემენ მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობებს;
5) ყადაღას ადებენ საცხოვრებელი სახლის გასხვისებას;
6) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედნებთან;
7) ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას;
8) ამოწმებენ დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორეს.
9) ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;
10) ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;
11) ადასტურებენ მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;
12) ადასტურებენ დოკუმენტების წარდგენის დროს:
13) გადასცემენ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებებს სხვა მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;
14) დეპოზიტში იღებენ ფულსა და ფასიან ქაღალდებს,
15) ასრულებენ საჯაროსრულებო წარწერებს;
16) ასრულებენ თამასუქების პროტესტებს;
17) გასანაღდებლად წარადგენენ ჩეკებს და ადასტურებენ ჩეკის გაუნაღდებლობას;
18) შესანახად იღებენ დოკუმენტებს;
19) უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს;
20) ასრულებენ საზღვაო პროტესტებს.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სახელმწიფო სანოტარო კანტორებს შეიძლება დაეკისროთ სხვა სანოტარო მოქმედების შესრულებაც.

მუხლი 14. სანოტარო მოქმედებანი, რომელთაც ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები

დასახლებულ პუნქტებში, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორები არ არის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

1) ადასტურებენ ანდერძებს;
2) ადასტურებენ სხვა გარიგებებს (ხელშეკრულებებს, რწმუნებულებებს და სხვა), გარდა ხელშეკრულებებისა, რომლებიც ეხება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად მიწის ნაკვეთების უვადო სარგებლობაში გაცემას, და გარიგებებისა, რომლებიც ეხება საზღვარგარეთ არსებულ ქონებას, ან უფლებებს, რომლებიც საზღვარგარეთ უნდა განხორციელდეს;
3) იღებენ ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად;
4) ყადაღას ადებენ საცხოვრებელი სახლის გასხვისებას;
5) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედნებთან;
6) ამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობას;
7) გადასცემენ მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებებს სხვა მოქალაქეებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;
8) ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;
9) ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;
10) ადასტურებენ მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;
11) ადასტურებენ მოქალაქეთა ანდერძები და რწმუნებულებანი, ხელმოწერის ნამდვილობას;
12) ადასტურებენ მოქალაქეთა ანდერძები, რომლებიც დადასტურებულია ამ ექსპედიციების უფროსების მიერ;
13) ჰოსპიტლებში, სანატორიუმებსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებებში სამკურნალოდ მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლების, სანატორიუმებისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებათა უფროსების, სამედიცინო ნაწილში მათი მოადგილეების, უფროსი და მორიგე ექიმების მიერ.

სამხედრო მოსამსახურეთა ანდერძები და რწმუნებულებანი, ხოლო იმ ჯარის ნაწილების შენაერთების, დაწესებულებებისა და სამხედრო სასწავლებლების დისლოკაციის პუნქტებში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო კანტორები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ნაწილების, შენაერთების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების მეთაურების (უფროსების) მიერ.

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ პირთა ანდერძები და რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის მიერ.

ამ მუხლში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები მოვალენი არიან მათ მიერ დადასტურებული ანდერძების თითო ცალი დაუყოვნებლივ გადასცენ შესანახად სახელმწიფო სანოტარო კანტორას მოანდერძის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საზღვაო გემის კაპიტანი მოგზაუა მის მიერ დადასტურებული ანდერძების თითო ცალი გადასცეს სსრ კავშირის ნავსადგურის უფროსს ან უცხოეთის ნავსადგურში სსრ კავშირის კონსულს შემდგომ მათ გადასაგზავნად სახელმწიფო სანატორო კანტორისათვის მოანდერძის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ მოანდერძეს სსრ კავშირში არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან თუ მოანდერძის საცხოვრებელი ადგილი არ არის ცნობილი, ანდერძი გაეგზავნება იმ სახელმწიფო სანოტარო კანტორას, რომელსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო.

სახელმწიფო ნოტარიუსი მოვალეა შეამოწმოს შესანახად შემოსული ანდერძის კანონიერება და, თუ დადგინდა, რომ იგი არ შეესაბამება კანონს, აცნობოს ამის შესახებ მოანდერძეს და თანამდებობის პირს, რომელმაც ანდერძი დადასტურა.

ამ მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთა მიერ ანდერძისა და რწმუნებულებების დადასტურება ხდება ამ კანონის მე-6 — მე-8, მე-19, მე-20 და 26-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

ᲙᲐᲠᲘ III
სანოტარო მოქმედების შესრულების წესები
თ ა ვ ი I
ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მუხლი 17. სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი

სანოტარო მოქმედება შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობის თანახმად სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ან განსაზღვრულ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სანოტარო მოქმედება სრულდება სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში.

ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფო ნოტარიუსს ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელ სხვა თანამდებობის პირს უფლება აქვს სანოტარო მოქმედება შეასრულოს აღნიშნული შენობების გარეთაც, თუ იმ მოქალაქეს, რომლისთვისაც მოქმედება სრულდება, საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, ინვალიდობა და სხვა) არ შეუძლია გამოცხადდეს სანოტარო კანტორაში ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებათა მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილს განსაზღვრავს სსრ კავშირის საკონსულო წესდება.

მუხლი 18. სანოტარო მოქმედების შესრულების ვადები

სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დღეს.

სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს, თუ საჭიროა დამატებითი ცნობების ან დოკუმენტების გამოთხოვა სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თანამდებობის პირებისაგან ან დოკუმენტების გაგზავნა საექსპერტიზოდ.

თუ სასამართლოსაგან მიღებულია ცნობა, რომ შემოსულია დაინტერესებული პირის განცხადება, რომელიც სადავოდ ხდის უფლებას ან ფაქტს, რის დადასტურებასაც მოითხოვს მეორე დაინტერესებული პირი, სანოტარო მოქმედების შესრულება შეჩერდება სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტამდე.

სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს აგრეთვე მოქალაქეთა თხოვნით. რომელთაც სურთ მიმართონ სასამართლოს იმ უფლებაზე ან ფაქტზე შედავებისათვის, რომლის დადასტურებასაც ითხოვს მეორე პირი. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსს უფლება აქვს გადადოს სანოტარო მოქმედების შესრულება არაუმეტეს ათი დღის ვადით. თუ სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დადგენილ ვადაში სასამართლოდან მიღებული არ იქნა ცნობა დაინტერესებული მოქალაქის განცხადების შემოსვლის შესახებ, სახელმწიფო ნოტარიუსი ასრულებს სანოტარო მოქმედებას.

მუხლი 19. იმ პირთა ვინაობის დადგენა და ქმედუნარიანობის შემოწმება, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვენ

სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირნი, რომლებიც სახოტარო მოქმედებას ასრულებენ, დაადგენენ იმ მოქალაქეების, მათი წარმომადგენლების ან სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ვინაობას, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვენ.

გარიგებათა დადასტურების დროს უნდა გამოირკვეს მოქალაქეთა ქმედუნარიანობა და შემოწმდეს გარიგების მონაწილე იურიდიული პირთა უფლებაუნარიანობა. წარმომადგენლის მიერ გარიგების დადების შემთხვევაში ამოწმებენ მის უფლებამოსილებას.

მუხლი 20. იმ პირთა ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმება, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას

გარიგებათა დადასტურების და ზოგიერთი სხვა სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოწმდება გარიგების მონაწილეთა და სხვა იმ პირთა ხელმოწერის ნამდვილობა, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას.

ნოტარიულად დასამოწმებელ გარიგებებს, აგრეთვე განცხადებებს და სხვა დოკუმენტებს ხელს აწერენ სახელმწიფო ნოტარიუსის ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირის დასწრებით. თუ გარიგების, განცხადების ან სხვა დოკუმენტების ხელმოწერას არ დასწრებია აღნიშნული თანამდებობის პირი, ხელმოწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ ხელმოწერა მას ეკუთვნის.

იმ პირის ნაცვლად, რომელსაც ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო შესაძლებლობა არა აქვს ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტს, მისი ღვალებით ხელს აწერს სხვა პირი სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირის თანდასწრებით.

სახელმწიფო ნოტარიუსს ან სხვა თანამდებობის პირს, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, შეუძლია არ მოითხოვოს სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებს, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივ ორგანიზაციების თანამდებობის პირების პირადად გამოცხადება, თუ ეს პირები მისთვის ცნობილი არიან ან თუ მას მოეპოვება ამ თანამდებობის პირების ხელმოწერის ნიმუში, მიღებული მათთან პირადი მიმართვის შედეგად, და მათი ხელმოწერის ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს.

მუხლი 21. სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საჭირო ცნობებისა და დოკუმენტების გამოთხოვა

სახელმწიფო ნოტარიუსებსა და სხვა თანამდებობის პირთ, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, უფლება აქვთ გამოითხოვონ სახელმწიფო დაწესებულებებიდან, საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, კოლმეურნეობებიდან და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან ცხობები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის. შესაბამისი ცნობები და დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ნოტარიუსის ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირის მიერ მითითებულ ვადაში. ეს ვადა ერთ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

მუხლი 22. სანოტარო მოქმედების შესრულების უფლების შეზღუდვები

სახელმწიფო ნოტარიუსებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირებს, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება თავიანთ სახელზე და თავიანთი სახელით, თავიანთი მეუღლეების, ასთი და თავიანთი ნათესავების (პაპის, ბებიის, მშობლების, შვილების, შვილიშვილების, ძმების, დების) სახელზე და სახელით, აგრეთვე მოცემული სახელმწიფო სანოტარო კანტორის ან მოცემული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაკთა სახელზე და სახელით. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირთ უფლება არა აქვთ შეასრულონ სანოტარო მოქმედება აგრეთვე მოცემული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე და სახელით.

სანოტარო მოქმედებას აღნიშნულ შემთხვევებში ასრულებს ნებისმიერი სახელმწიფო სანოტარო კანტორა ან ნებისმიერი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

იმ შემთხვევებში, როდესაც სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სანოტარო მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ან განსაზღვრულ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი დადგინდება იმ წესით, რომელსაც აგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად საკონსულო თანამდებობის პირი ვერ შეასრულებს სანოტარო მოქმედებას თავის სახელზე და თავისი სახელით, თავისი მეუღლის, მისი და თავისი პირდაპირი ნათესავების სახელზე და სახელით.

ამ კანონის მე-16 მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთ უფლება არა აქვთ დაადასტურონ ანდერძები და რწმუნებულებანი თავიანთ სახელზე და თავიანთი სახელით, თავიანთი მეუღლეების, ამათი და თავიანთი ნათესავების სახელზე და სახელით, რომლებიც ჩამოთვლილი არიან ამ მუხლის პირველ ნაწილში.

სანოტარო და მასთან გათანაბრებული მოქმედება, რომელიც ამ მუხლით დადგენილი წესების დარღვევით შესრულდა, ბათილია.

მუხლი 23. სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტის ტექსტი

სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის არ იღებენ დოკუმენტებს, რომლებშიც არის გადაფხეკილი ადგილები, მინაწერები, წაშლილი სიტყვები და სხვა ისეთი შესწორებები, რომლებიც წინასწარ დათქმული არ იყო, აგრეთვე დოკუმენტებს, რომლებიც ფანქრითაა შესრულებული.

სანოტარო წესით დადასტურებული დოკუმენტების ტექსტი უნდა დაიწეროს ნათლად და გარკვევით, თარიღი და ვადა, რომელიც დოკუმენტს შეეხება, ერთსელ მაინც უნდა დაიწეროს სიტყვებით, მოქალაქეთა გვარი, სახელი და მამის სახელი სრულად უნდა იქნეს ნაჩვენები, ხოლო იურიდიული პირის სახელწოდება შეუმოკლებლად უნდა დაიწეროს და მითითოს მისი ორგანოების ადგილსამყოფელი.

მუხლი 24. დამადასტურებელი წარწერა

გარიგებების ნოტარული დადასტურება, დოკუმენტების პირებისა და მათი ამონაწერების, დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობის, ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორის დამოწმება მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო ნოტარიუსი ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირი დადასტურების ან დამოწმების შესახებ სათანადო დოკუმენტზე გააკეთებს წარწერას ბეჭდის დასმით.

მუხლი 25. სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაცია

ყველა სანოტარო მოქმედება, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფო ნოტარიუსები ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები, რეგისტრაციაში ტარდება სანოტარო რეესტრში.

ყველა შესრულებულ სანოტარო მოქმედებას ეძლევა დამოუკიდებელი ნომერი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული გაცემულ დოკუმენტებსა და დამადასტურებელ წარწერებში.

მუხლი 26. ამონაწერის გაცემა სანოტარო რეგისტრაციიდან

სახელმწიფო ნოტარიუსი ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, ამონაწერს სანოტარო რეესტრიდან გასცემს იმ მოქალაქეების, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წერილობითი განცხადებით, ვისი დავალებით ან ვის მიმართაც შესრულებულია სანოტარო მოქმედება.

მუხლი 27. დაკარგული დოკუმენტების დუბლიკატის გაცემა

სახელმწიფო ნოტარიუსს ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სანოტარო მოქმედების შემსრულებელი თანამდებობის პირის მიერ დადასტურებული ან გაცემული დოკუმენტის დაკარგვის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს წერილობითი განცხადების საფუძველზე ეძლევა დაკარგული დოკუმენტის დუბლიკატი.

სახელმწიფო ნოტარიუსი გასცემს აგრეთვე იმ ანდერძის დუბლიკატს, რომელიც მან მიიღო ამ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 28. ზომები, რომლებსაც მიიღებენ სახელმწიფო ნოტარიუსები და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირები კანონის დარღვევის აღმოჩენისას

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების დროს სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირნი, რომლებიც სახოტარო მოქმედებას ასრულებენ, აღმოაჩენენ, რომ მოქალაქეებმა ან ცალკეულმა თანამდებობის პირებმა დაარღვიეს კანონიერება, ისინი ამის შესახებ, აუცილებელი ზომების მისაღებად ატყობინებენ შესაბამის დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს ან პროკურორს.

თუ წარმოდგენილი დოკუმენტის ნამდვილობაზე ეჭვს იწვევს, სახელმწიფო ნოტარიუსსა და სხვა თანამდებობის პირს, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულ

 კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საახალმფიფო ნოტარიატის შესახებ

ოფიციალური

(გაგრძელება).

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დანიტერესებულ პირს გადახდება საკონსულო გამოსაღები, ოღონდ პირი ანაზღაურებს სანოტარო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებულ ფაქტიურ ხარჯებს.

თავი II

გარიგებათა დადასტურება

მუხლი 35. გარიგებები, რომლებიც სანოტარო წესით დადასტურდება

სახელმწიფო ნოტარიუსები და სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, ადასტურებენ გარიგებებს, რომელთა შესასრულებლად კანონმდებლობით დადგენილია სავალდებულო სანოტარო ფორმა. მხარეთა სურვილით დადასტურდება სხვა ისეთი გარიგებანი, რომლებისთვისაც კანონმდებლობით დადგენილი არ არის სავალდებულო სანოტარო დადასტურება.

მუხლი 36. გარიგების პროექტის შინაარსისა და მნიშვნელობის განმარტება მხარეებისათვის

სახელმწიფო ნოტარიუსი და სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, მოვალეა განუმარტოს მხარეებს მათ მიერ წარმოდგენილი ან მათი თხოვნით შედგენილი გარიგების პროექტის შინაარსი და მნიშვნელობა და შეამოწმოს — შეუხამებენ თუ არა მისი შინაარსი მხარეთა ნამდვილ სურვილებს.

მუხლი 37. გადასახადით ან გამოსაღებით დაბეგრილი ქონების გასხვისების შესახებ გარიგების დადასტურების პირობები

გარიგება გადასახადით ან გამოსაღებით დაბეგრილი ქონების გასხვისების შესახებ შეიძლება დადასტურებული იქნეს იმ პირობით, თუ წარმოდგენილი იქნება გადასახადის ან გამოსაღების გადახდის მტკიცებულება ან შესაბამისი ორგანოს ან შემძენის თანხმობა იმის შესახებ, რომ გადასახადის ან გამოსაღების გადახდა გადატანილი იქნეს ქონების შემძენზე.

მუხლი 38. საცხოვრებელი სახლის გასხვისების ან დაგირავების გარიგების დადასტურება

მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) ან ინდივიდუალურ მშენებელთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინების გასხვისების ან დაგირავების გარიგების დადასტურებასა სახელმწიფო ნოტარიუსი ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, ამოწმებს ეკუთვნის თუ არა ისინი გამსხვისებელ ან დამგირავებელ პირს და არსებობს თუ არა ყადაღა მათ გასხვისებაზე.

ყადაღის არსებობისას გასხვისების გარიგება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ ის შემთხვევაში, თუ კრედიტორი და შემძენი თანახმაა, რომ ვალი გადატანილ იქნეს შემძენზე.

საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის), ბინის გასხვისების ან დაგირავების ხელშეკრულება დადასტურდება საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დადასტურებისას ხელშეკრულების დამდგ მხარეებს განუმარტავენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე და 238-ე მუხლების შინაარსს.

მუხლი 39. სოფელში მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულების დადასტურება

სოფელში მდებარე საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულება არ საჭიროებს სანოტარო წესით სავალდებულო დადასტურებას, მაგრამ მხარეთა სურვილით ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დადასტურებული იქნეს სანოტარო წესით.

ასეთი სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულების დადასტურების დროს მხარეებს აფრთხილებენ იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო-საბჭოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან და ამ წესის დაუცველობა გამოიწვევს გასხვისების ხელშეკრულების ბათილობას.

საკოლმეურნეო კომლის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულების დადასტურება არ შეიძლება კომლის ყველა სრულწლოვანი წევრის წერილობითი თანხმობის გარეშე, ხოლო თუ კომლში არიან არასრულწლოვანი ან არაქმედუნარიანი პირები — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წერილობითი თანხმობის გარეშე; იმ საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულების დადასტურება, რომელიც კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თანხმობის გარეშე, ან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს გამგებლობაში მყოფ მიწაზეა, არ შეიძლება შესაბამისად კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილების, საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელების, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

მუხლი 40. პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) გასხვისების ხელშეკრულების დადასტურება

პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მოქალაქეებზე მიწის ნაკვეთების უვადო სარგებლობაში გაცემის ხელშეკრულებებს ადასტურებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები მიწის ნაკვეთის გაცემის ადგილის მიხედვით.

აღნიშნული ხელშეკრულების დადასტურების დროს სახელმწიფო ნოტარიუსები აძოწმებენ, თუ რამდენად შეესაბამება ხელშეკრულება იმ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელიც აწესრიგებს მოქალაქეთა უფლებას პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე.

მუხლი 41. იმ ქონების გასხვისების გარიგების დადასტურება, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება

სახელმწიფო ნოტარიუსი იმ ქონების გასხვისების გარიგების დადასტურებისას, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება (ავტომანქანები, მოტოციკლები და სხვ.), ამოწმებს ამ ქონების კუთვნილებას უფლების დამდგენი დოკუმენტის მიხედვით.

მუხლი 42. ანდერძის დადასტურება

სახელმწიფო ნოტარიუსი და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა თანამდებობის პირი ადასტურებს ქმედუნარიანი მოქალაქის მიერ პირადად წარდგენილ ანდერძს, რომელიც შედგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 551-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

წარმომადგენლის მეშვეობით ანდერძის დადასტურება დაუშვებელია.

მოანდერძეს განუმარტავენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 546-ე, 547-ე მუხლების შინაარსს.

ანდერძის დადასტურების დროს მოანდერძეს არ მოითხოვება სამკვიდრო ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა.

მუხლი 43. ანდერძის შეცვლის და მოშლის წესი

თუ სახელმწიფო ნოტარიუსი ან თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, მიიღებენ განცხადებას ადრინდელი ანდერძის მოშლის შესახებ, იგრეთვე ახალი ანდერძის მიღების შემთხვევაში, რომელიც ცვლის ან აუქმებს ადრინდელ ანდერძს, ამის შესახებ აღინიშნება ანდერძის იმ ბალში, რომელიც ინახება სახელმწიფო სანოტარო კანტორაში ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და სანოტარო მოქმედების სარეგისტრაციო რეესტრში. ხელმოწერა განცხადებაზე ანდერძის მოშლის შესახებ ნოტარიუსად უნდა დამოწმდეს.

მუხლი 44. რწმუნებულების დადასტურება

სახელმწიფო ნოტარიუსს ან სხვა თანამდებობის პირს, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, შეუძლია დადასტუროს რწმუნებულება ერთი ან რამდენიმე პირის სახელით ერთი ან რამდენიმე პირის სახელზე.

რწმუნებულება შეიძლება გაცემულ იქნეს ვადით არაუმეტეს სამი წლისა. ამ კანონის 88-ე მუხლში მითითებული შემთხვევების გამოკლებით, იმ რწმუნებულებას, რომელშიც აღნიშნული არ არის მისი მოქმედების ვადა, ძალა აქვს ერთი წლის განმავლობაში მისი გაცემის დღიდან. რწმუნებულება, რომელშიც აღნიშნული არ არის მისი შედგენის თარიღი, ბათილია.

რწმუნებების გაცემის წესით გაცემული რწმუნებულება შეიძლება დადასტურებულ იქნეს სანოტარო წესით მხოლოდ ძირითადი რწმუნებულების წარდგენის შემდეგ, რომელშიც დათქმულია რწმუნების გადაცემის უფლება. რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულება არ შეიძლება შეიცავდეს იმაზე მეტ უფლებებს, ვიდრე ძირითადი რწმუნებულება. რწმუნების გადაცემის წესით გაცემული რწმუნებულების მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს იმ რწმუნებულების ვადას, რომლის საფუძველზეც არის იგი გაცემული.

მუხლი 45. იმ დოკუმენტების ცალების რაოდენობა, რომლებშიც ჩამოყალიბებულია გარიგების შინაარსი

ხელშეკრულებები, ანდერძები, რწმუნებულებანი და სხვა დოკუმენტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სანოტარო წესით დასადასტურებელ გარიგებათა შინაარსი, სახელმწიფო ნოტარიუსს ან სანოტარო მოქმედების შემსრულებელ თანამდებობის პირს წარედგინება არანაკლებ ორი ცალისა, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო მოქმედების შემსრულებელი ორგანოს საქმეში.

თავი III

ზომების მიღება სამკვიდრო ქონების დაცვისათვის

მუხლი 46. შეტყობინება სამკვიდროს გახსნის შესახებ

სახელმწიფო დაწესებულებები, საწარმოები, ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სასწავლებლები, სადაც მუშაობდნენ ან სწავლობდნენ გარდაცვალებულები, მილიციის ორგანოები და საბინაო ორგანოები გარდაცვალებულთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საბინაო-სამშენებლო და საგარაჟო-სამშენებლო კოოპერატივებისა და ინდივიდუალურ მშენებელთა კოლექტივების გამგეობები, აგრეთვე მოქალაქეები — იმ სახლების მესაკუთრენი, სადაც გარდაცვალებულები ცხოვრობდნენ, მოვალენი არიან სახელმწიფო სანოტარო კანტორებს ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს აცნობონ იმ მოქალაქეთა გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების შესახებ, რომელთა მემკვიდრეები ადგილზე არ იმყოფებიან, და აგრეთვე მათთვის ცნობილი მონაცემები სავარაუდო მემკვიდრეების საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის შესახებ.

მუხლი 47. ზომების მიღება სამკვიდრო ქონების დაცვისათვის

სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სახელმწიფო ნოტარიუსი და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა შეტყობინებით ან საკუთარი ინიციატივით მიიღებს ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, როდესაც ეს საჭიროა მემკვიდრეების, საანდერძო დანაკისრის მიმღების, კრედიტორების ან სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

თუ სამკვიდროს დამტოვებლის ქონება ან ქონების ნაწილი არ არის სამკვიდროს გახსნის ადგილზე, სახელმწიფო ნოტარიუსი ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით სახელმწიფო სანოტარო კანტორას ან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით უგზავნის დავალებას მისი დაცვისათვის ზომების მიღების შესახებ.

მუხლი 48. სამკვიდროს გახსნის შესახებ მემკვიდრეებისათვის შეტყობინება

სახელმწიფო ნოტარიუსი, რომელმაც მიიღო ცნობა სამკვიდროს გახსნის შესახებ, მოვალეა შეატყობინოს ამის შესახებ მემკვიდრეებს, თუ მისთვის ცნობილია მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილი.

სახელმწიფო ნოტარიუსს შეუძლია აგრეთვე მემკვიდრეების გამოწვევა საჯარო განცხადების ან პრესის მეშვეობით.

მუხლი 49. სამკვიდრო ქონების აღწერა და შენახვა

სამკვიდრო ქონების დასაცავად სახელმწიფო ნოტარიუსები და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თანამდებობის პირები, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, აღწერენ ამ ქონებას და შესანახად ჩააბარებენ მემკვიდრეებს ან სხვა პირებს.

თუ მემკვიდრეობაში ისეთი ქონებაა, რომელიც მართვას მოითხოვს. აგრეთვე მემკვიდრეებისათვის სამკვიდროს მიღებამდე სამკვიდროს დამტოვებლის კრედიტორების მიერ სარჩელის წაყენების შემთხვევაში, სახელმწიფო ნოტარიუსის ან შესაბამისი მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იმ თანამდებობის პირის წარდგენებით, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სამკვიდრო ქონების მეურვეს დანიშნავს.

მეურვეებს და სხვა პირებს, რომლებსაც შესანახად აქვთ გადაცემული სამკვიდრო ქონება, აგრეთვე სამკვიდრო ქონების მეურვედ დანიშნულ პირს აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლის შესაბამისად სამკვიდრო ქონების გაფლანგვის, ეკასგესების ან დამალვისათვის, აგრეთვე მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ მიყენებული ზარალისათვის.

მუხლი 50. გასამრჯელო სამკვიდრო ქონების შენახვისათვის

პირებს, რომლებსაც შესანახად გადაეცათ სამკვიდრო ქონება, აგრეთვე ქონების მეურვეებს, თუ ისინი მემკვიდრეები არ არიან, უფლება აქვთ მიიღონ დადგენილი წესით განსაზღვრული გასამრჯელო სამკვიდრო ქონების შენახვისათვის.

აღნიშნულ პირებს აგრეთვე აუნაზღაურდებათ სამკვიდრო ქონების შენახვისა და მართვისათვის გაწეული აუცილებელი ხარჯები, ამ ქონების სარგებლობით ფაქტიურად მიღებული სარგებლის გამოკლებით.

მუხლი 51. აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება სამკვიდრო ქონებიდან

აუცილებელ შემთხვევებში მემკვიდრეთა მიერ მემკვიდრეობის მიღებამდე, ხოლო თუ ასეთი ქონება მიღებული არ არის, სახელმწიფოსათვის მემკვიდრეობის უფლებაზე მოწმობის გაცემამდე, სახელმწიფო სანოტარო კანტორა გასცემს განკარგულებას სამკვიდრო ქონებიდან იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომელიც გაწეული იყო;

1) სამკვიდროს დამტოვებლის მოსავლელად მისი ავადმყოფობის დროს ან მის დასაკრძალავად;

2) სამკვიდროს დამტოვებლის კმაყოფაზე მყოფი მოქალაქეების შესანახად;

3) ხელფასთან დაკავშირებით წაყენებული პრეტენზიებისა და მათთან გათანაბრებული პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად;

4) სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის; აგრეთვე მემკვიდრეების შეტყობინებასთან დაკავშირებული პუბლიკაციისათვის.

თუ სამკვიდრო ქონებაში არ მოიპოვება ფულადი თანხები, მაშინ გაიცემა ნივთი, რომლის ღირებულება არ აღემატება ასანაზღაურებელი ხარჯების თანხას.

მუხლი 52. სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებათა შეწყვეტა

სამკვიდრო ქონების დაცვა გრძელდება ყველა მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების მიღებამდე, ხოლო თუ მათ არ მიიღეს სამკვიდრო ქონება, — საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლით დადგენილი ვადების გასვლამდე.

სახელმწიფო სანოტარო კანტორა მოვალეა წინასწარ შეატყობინოს მემკვიდრეებს სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებათა შეწყვეტის შესახებ, ხოლო, თუ ქონება მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოს უნდა გადაეცეს — შესაბამის საფინანსო ორგანოს.

თავი IV

მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემა

მუხლი 53. მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის ადგილი და ვადა

მემკვიდრეების წერილობითი განცხადებით სახელმწიფო სანოტარო კანტორა სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით გასცემს მემკვიდრეობის უფლების მოწმობას, მოწმობა გაიცემა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 567-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

მუხლი 54. მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის წესი

მემკვიდრეობის უფლების მოწმობა მიეცემა იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო ქონება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის შესაბამისად.

მემკვიდრეები, რომლებსაც მემკვიდრეობა კანონით დადგენილ ვადაში არ მიუღიათ, შეიძლება შეტანილ იქნენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა იმ მემკვიდრის თანხმობით, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა. თანხმობა განცხადებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემამდე.

მემკვიდრეობის უფლების მოწმობა მიეცემა ყველა მემკვიდრეს ერთად ან მათი სურვილის მიხედვით თვითეულს ცალ-ცალკე.

მემკვიდრეობის უფლებით სახელმწიფოსათვის ქონების გადაცემის დროს მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ეძლევა შესაბამის საფინანსო ორგანოს.

მუხლი 55. კანონით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის პირობები

კანონით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის დროს სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ფაქტს, სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს, იმ ურთიერთობათა არსებობას, რაც წარმოადგენს კანონისმიერ მემკვიდრეად იმ პირთა მოწვევის საფუძველს, რომლებმაც შეიტანეს განცხადება მოწმობის გაცემის შესახებ, და იმ ქონების შედგენილობას, რომელზედაც უნდა გაიცეს მემკვიდრეობის უფლების მოწმობა. ამ გარემოებათა დასადასტურებლად მემკვიდრეებისაგან გამოითხოვენ სათანადო მტკიცებულებებს.

თუ ერთ ან რამდენიმე კანონისმიერ მემკვიდრეს საშუალება არ აქვს წარმოადგინოს იმ ურთიერთობათა მტკიცებულება, რაც საფუძველია კანონისმიერ მემკვიდრედ მოსაწვევად, ისინი შეიძლება ჩაწერილ იქნენ მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში ყველა იმ დანარჩენი ნათესავის თანხმობით, რომლებმაც მიიღეს მემკვიდრეობა და წარადგინეს სამკვიდროს დამტოვებელთან ნათესაური ურთიერთობის მტკიცებულებანი.

მუხლი 56. ანდერძით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის პირობები

ანდერძით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის დროს სახელმწიფო ნოტარიუსი შესაბამისი მტკიცებულებების გამოთხოვის გზით ამოწმებს სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების ფაქტს, ანდერძის არსებობას, სამკვიდროს გახსნის დროსა და ადგილს, სამკვიდრო ქონების შედგენილობას და ადგილსამყოფელს.

სახელმწიფო ნოტარიუსი აგრეთვე არკვევს იმ პირთა წრეს, რომლებსაც უფლება აქვთ სავალდებულო წილზე სამკვიდრო ქონებაში.

მუხლი 57. იმ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემის პირობები, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება

თუ სამკვიდრო ქონებაში არის საცხოვრებელი სახლი (სახლის ნაწილი), სახელმწიფო ნოტარიუსი მოითხოვს დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს სახლი სამდივნოდ ეკუთვნოდა სამკვიდროს დამტოვებელს, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობას, აგრეთვე ამოწმებს ხომ არა აქვს დადებული ყადაღა ამ სახლის გასხვისებას.

მემკვიდრეობის უფლების მოწმობაში სხვა ისეთი ქონების ჩარიცხვისათვის, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება (ავტომობილები, მოტოციკლები და სხვა), სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს სამკვიდროს დამტოვებლისათვის ამ ქონების კუთვნილების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

მუხლი 58. მემკვიდრეობა საკოლმეურნეო ან ერთპიროვნულ კომლში

საკოლმეურნეო ან ერთპიროვნული კომლის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კომლის ქონებაში სამკვიდრო არ იხსნება.

თუ საკოლმეურნეო (ერთპიროვნული) კომლის წევრის გარდაცვალების შემდეგ კომლში სხვა წევრები არ დარჩენილა, სახელმწიფო ნოტარიუსი კომლის ქონების მიმართ გამოიყენებს მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებს საერთო წესით.

კომლის გარდაცვლილი წევრის პირადი ქონება მემკვიდრეებზე გადადის საერთო წესით.

თავი V

მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა

მუხლი 59. მოწმობის გაცემა მეუღლეთა ერთობლივი განცხადებით

სახელმწიფო სანოტარო კანტორა მეუღლეთა ერთობლივი წერილობითი განცხადების საფუძველზე ორივეს ან ერთერთ მათგანს აძლევს მოწმობას ქორწინების განმავლობაში შეძენილ საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების შესახებ.

საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე) საკუთრების უფლების მოწმობა გაიცემა საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 60. მოწმობის გაცემა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში

ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობას ცოცხლად დარჩენილი მეუღლის განცხადებით გასცემს სახელმწიფო სანოტარო კანტორა სამკვიდროს გახსნის ადგილის მიხედვით, რის შესახებ წინასწარ აცნობებენ მემკვიდრეებს.

ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობა შეიძლება მიეცეს ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების ნახევარზე.

თავი VI

ყადაღა საცხოვრებელი სახლის გასხვისებაზე

მუხლი 61. ყადაღის დადება

მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სახლის ან ინდივიდუალურ მშენებელთა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის სახლში ბინის მშენებლობის, კაპიტალური რემონტის ან შეძენისათვის სესხის მიცემის შესახებ საბანკო დაწესებულებების, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების და ორგანიზაციების შეტყობინების მიღების შემთხვევაში, აგრეთვე საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის) დაგირავების ხელშეკრულების დადასტურების დროს სახელმწიფო ნოტარიუსი ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით ყადაღას დადებს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის, ბინის) გასხვისებაზე და ამის შესახებ აცნობებს შესაბამის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის, ბინის) ადგილსამყოფელის მიხედვით.

მუხლი 62. ყადაღის მოხსნა

სესხის გადახდის შესახებ საბანკო დაწესებულების, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოს ან ორგანიზაციის შეტყობინების ან გირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსი ან სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, გააუქმებს ყადაღას საცხოვრებელ სახლზე (სახლის ნაწილზე, ბინაზე) და ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საცხოვრებელი სახლის (სახლის ნაწილის, ბინის) ადგილსამყოფელის მიხედვით.

თავი VII

დოკუმენტის პირის და დოკუმენტიდან ამონაწერების დედანთან სისწორის, ხელმოწერის სინამდვილისა და თარგმანის სისწორის დამოწმება

მუხლი 63. დოკუმენტის პირის და დოკუმენტიდან ამონაწერების სისწორის დამოწმება

სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის, კოლმეურნეობისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, აგრეთვე მოქალაქის მიერ გაცემული დოკუმენტის პირის და დოკუმენტიდან ამონაწერების სისწორეს დედანთან სახელმწიფო სანოტარო კანტორები და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები დაამოწმებენ იმ პირობით, თუ დოკუმენტი კანონს არ ეწინააღმდეგება. აქვს იურიდიული მნიშვნელობა და დოკუმენტის პირისა და მისგან ამონაწერის დედანთან სისწორის დამოწმება კანონით არ არის აკრძალული.

აკრძალულია პასპორტის, პარტიული ბილეთის, პროფკავშირული ბალეთის, სადეპუტატო მოწმობის და სამხედრო ბილეთის პირების დამოწმება.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება არა აქვთ დაამოწმონ საშუალო სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების შესახებ დოკუმენტების პირების სისწორე დედანთან.

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების იმ აქტების პირების დამოწმება, რომლებიც მოქალაქეთა პირად უფლებებსა და ინტერესებს ეხება, აგრეთვე უცხო ენაზე დაწერილი დოკუმენტების პირების დამოწმება შეიძლება მხოლოდ პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორებში.

თუ ნამდვილობა იმ დოკუმენტისა, რომლის პირიც წარმოდგენილია დასამოწმებლად, ეჭვს იწვევს, სახელმწიფო ნოტარიუსს ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირს, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, უფლება აქვს არ დაამოწმოს დოკუმენტი და გაგზავნოს იგი საექსპერტიზოდ.

მოქალაქეთა მიერ გაცემული დოკუმენტის პირის სისწორე დამოწმდება იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტზე ხელმოწერის სინამდვილეს ამოწმებს სანოტარო ორგანო ან ის ორგანიზაცია, სადაც მოქალაქე მუშაობს ან სწავლობს, იმ სასწავლო სამმართველოსა, სადაც იგი ცხოვრობს, ან იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაცია, სადაც იგი მკურნალობს.

ამონაწერების სისწორე შეიძლება დამოწმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი, რომლიდანაც კეთდება ამონაწერი, შეიხება რამდენიმე ცალკეულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ საკითხებს. ამონაწერი უნდა შეიცავდეს განსაზღვრულ საკითხზე დოკუმენტის ნაწილის სრულ ტექსტს.

მუხლი 64. დოკუმენტის პირისგან შესრულებული პირის სისწორის დამოწმება

დოკუმენტის პირისაგან შესრულებული პირის სისწორე სახელმწიფო ნოტარიუსმა შეიძლება დაამოწმოს იმ პირობით, თუ პირის სისწორე დამოწმებულია სანოტარო წესით ან თუ დოკუმენტის პირი გაცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის მიერ, რომელმაც შეადგინა დოკუმენტის დედანი.

მუხლი 65. ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

სახელმწიფო ნოტარიუსი, ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ის თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს სანოტარო მოქმედებას, ამოწმებს იმ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას, რომლის შინაარსი კანონს არ ეწინააღმდეგება და რომლის შინაარსსაც არა აქვს გარიგების ხასიათი.

ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება არ ადასტურებს დოკუმენტში გადმოცემულ ფაქტებს, არამედ ადასტურებს მხოლოდ გარკვეული პირის ხელმოწერას.

გარიგებაზე შეიძლება დამოწმდეს იმ პირის ხელმოწერის ნამდვილობა, რომელმაც ხელი მოაწერა ისეთი სხვა პირის ნაცვლად, რომელსაც ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ შეეძლო ხელის მოწერა.

მუხლი 66. თარგმანის სისწორის დამოწმება

სახელმწიფო ნოტარიუსი ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორეს იმ პირობით, თუ მან იცის ორივე ეს ენა.

თუ სახელმწიფო ნოტარიუსმა არ იცის შესაბამისი ენა, დოკუმენტის თარგმანი შეიძლება შესრულებული იქნეს მისთვის ცნობილი მთარგმნელის მიერ, რომლის ხელმოწერის ნამდვილობას ამოწმებს სახელმწიფო ნოტარიუსი.

თავი VIII

ფაქტების დადასტურება

მუხლი 67. მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება

სახელმწიფო სანოტარო კანტორა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ის თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს სანოტარო მოქმედებას, ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს და ამის შესახებ დაინტერესებულ პირებს მისცემენ მოწმობას.

არასრულწლოვანის ცოცხლად ყოფნის ფაქტი დასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მეურვის ან მზრუნველის) თხოვნით.

მუხლი 68. მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება

სახელმწიფო სანოტარო კანტორა ან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს სანოტარო მოქმედებას, მოქალაქეთა თხოვნით ადასტურებს განსაზღვრულ ადგილას მისი ყოფნის ფაქტს და ამის შესახებ გასცემს მოწმობას.

არასრულწლოვანის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტი დასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მშვილებლების, მეურვის ან მზრუნველის) თხოვნით.

მუხლი 69. ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან მოქალაქის იგივეობის დადასტურება

სახელმწიფო სანოტარო კანტორები ადასტურებენ ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან მოქალაქის იგივეობას და ამის შესახებ გასცემენ მოწმობას.

მუხლი 70. დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება

სახელმწიფო სანოტარო კანტორები ადასტურებენ დოკუმენტის წარდგენის დროს და ამის შესახებ გასცემენ მოწმობას.

თავი IX

მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებების გადაცემა სხვა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის

მუხლი 71. მოქალაქეთა და ორგანიზაციათა განცხადებების გადაცემა სხვა მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის

სახელმწიფო სანოტარო კანტორები და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ

(დასასრული).

ველზე ნოტარიუსი შეადგენს აქტს საზღვაო პროტესტის შესახებ ორ ცალად, რომელთაგან ერთი მიეცემა გემის კაპიტანს ან რწმუნებულს, ხოლო მეორე რჩება სანოტარო კანტორის საქმეებში.

თავი XIV

დოკუმენტების მიღება შესანახად

მუხლი 83. დოკუმენტების მიღება შესანახად

სახელმწიფო სანოტარო კანტორები და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები შესანახად იღებენ დოკუმენტებს აღწერის მახედვით, რის შესახებ იმ პირს, რომელმაც დოკუმენტები შესანახად ჩაბარა, ეძლევა მოწმობა და აღწერის ცალი.

შესანახად მიღებული დოკუმენტები დაუბრუნდება შესანახად მათ ჩამბარებელ პირს ან კანონიერ რწმუნებულს მოწმობის და აღწერის ცალის ან სასამართლოს დადგენილების წარდგენისას.

თავი XV

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

მუხლი 84. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

დაინტერესებულ პირთა თხოვნით სახელმწიფო სანოტარო კანტორა ახდენს იმ მტკიცებულებათა უზრუნველყოფას, რომლებიც საჭიროა სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებში საქმის აღძვრის შემთხვევაში, თუ არსებობს იმის საფუძველი, რომ შემდეგში მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლებელი ან ძნელი გახდება.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით სახელმწიფო ნოტარიუსი დაჰკითხავს მოწმეებს, დაათვალიერებს წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს, ნიშნავს ექსპერტიზას.

სახელმწიფო სანოტარო კანტორა არ უზრუნველყოფს მტკიცებულებებს იმ საქმეებზე, რომლებიც სახელმწიფო სანოტარო კანტორისადმი დაინტერესებული პირების მიმართვის მომენტში საბჭოთა სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების წარმოებაშია.

მუხლი 85. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესი

მტკიცებულებათა უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნოქმედების შესრულებისას სახელმწიფო ნოტარიუსი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი წესებით.

მეორე მხარეს და დაინტერესებულ პირებს სახელმწიფო ნოტარიუსი აცნობებს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ადგილისა და დროის შესახებ, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ დაბრკოლებს მოქმედების შესრულებას მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მეორე მხარისა და დაინტერესებული პირებისათვის შეუტყობინებლად შეიძლება მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ შემდგომში ვინ მიიღებს მონაწილეობას საქმეში.

გამოწვეული მოწმის ან ექსპერტის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სახელმწიფო ნოტარიუსი აცნობებს ამის შესახებ სახალხო სასამართლოს მოწმის ან ექსპერტის საცხოვრებელი ადგილის მახედვით, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 64-ე და 81-ე მუხლებით გათვალისწინებული ზომების მისაღებად.

თავი XVI

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ კანონმდებლობის გამოყენება უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. უცხოეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის გამოყენება, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

მუხლი 86. სანოტარო მოქმედება უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, უცხოეთის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ საბჭოთა მოქალაქეებთან თანაბარი უფლება მიმართონ საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორებს, აგრეთვე სანოტარო მოქმედების შემსრულებელ სხვა ორგანოებს.

უცხოეთის საწარმოებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს სსრ სანოტარო კანტორებსა და სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებს.

სსრ კავშირის შინისტრთა საბჭოს შეუძლია დაუწესოს საპასუხო შეზღუდვები იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, სადაც დაშვებულია საბჭოთა მოქალაქეების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ნოტარიატის ორგანოებში მიმართვის უფლებების სპეციალური შეზღუდვები.

მუხლი 87. უცხოეთის სამართლის გამოყენება

სახელმწიფო ნოტარიუსები სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობის, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, იყენებენ უცხოეთის სამართლის ნორმებს.

სახელმწიფო ნოტარიუსები იღებენ უცხოეთის სამართლის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ დოკუმენტებს, აგრეთვე ასრულებენ დამადასტურებელ წარწერებს უცხოეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს.

მუხლი 88. სამკვიდრო ქონების დაცვისა და შემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემისას საბჭოთა სამართლის გამოყენება, რწმუნებულებანი საზღვარგარეთ მოქმედების შესასრულებლად

უცხოელი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დარჩენილი ქონების ან საბჭოთა მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ უცხოელი მოქალაქის კუთვნილი ქონების დაცვასთან, აგრეთვე ასეთ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული მოქმედება ხორციელდება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დადასტურებული რწმუნებულება, რომელიც განკუთვნილია საზღვარგარეთ მოქმედების შესასრულებლად და არ შეიცავს მითითებებს მისი მოქმედების ვადის შესახებ, ინარჩუნებს ძალას რწმუნებულების გამცემი პირის მიერ მის გაუქმებამდე.

მუხლი 89. საზღვარგარეთ შედგენილი დოკუმენტების მიღება საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ

საზღვარგარეთ უცხოეთის ხელისუფალთა მონაწილეობით შედგენილ ან მათგან გამოსულ დოკუმენტებს საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები იღებენ იმ პირობით, თუ ისინი ლეგალიზებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასეთ დოკუმენტებს ლეგალიზაციის გარეშე იღებენ იმ შემთხვევაში, როცა ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ.

მუხლი 90. უცხოეთის იუსტიციის ორგანოების დავალებათა შესრულება და საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიმართვა დავალებით უცხოეთის იუსტიციის ორგანოებისადმი

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ასრულებენ დადგენილი წესით უცხოეთის იუსტიციის ორგანოებისაგან მიღებულ დავალებებს ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

1) დავალების შესრულება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის სუვერენიტეტს ან ემუქრება სსრ კავშირის უშიშროებას;

2) დავალების შესრულება არ შედის საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების კომპეტენციაში.

უცხოეთის იუსტიციის ორგანოების დავალებანი ცალკეული სანოტარო მოქმედების შესრულების შესახებ სრულდება საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორებს შეუძლიათ უცხოეთის იუსტიციის ორგანოებს მიმართონ დავალებით ცალკეულ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ.

უცხოეთის იუსტიციის ორგანოებთან საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების ურთიერთობის წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ.

მუხლი 91. უცხოეთის სახელმწიფოთა ორგანოებში საქმის წარმოებისათვის საჭირო მტკიცებულებათა უზრუნველყოფა

საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები უზრუნველყოფენ მტკიცებულებებს, რომლებიც საჭიროა საქმის წარმოებისათვის უცხოეთის სახელმწიფოთა ორგანოებში.

მუხლი 92. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად თუ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი სანოტარო მოქმედების წესები, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, განსხვავდება იმ წესებისაგან, რომლებიც შეიცავს სსრ კავშირის ან საქართველოს სსრ კანონმდებლობა, მაშინ სანოტარო მოქმედების შესრულების დროს იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილ წესებს.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, სსრ კავშირის სახელმწიფო სანოტარო კანტორების კომპეტენციას განაკუთვნებს ისეთი სანოტარო მოქმედების შესრულებას, რომელსაც არ ითვალისწინებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობა, საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები ამ სანოტარო მოქმედებას შეასრულებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის მახედვით.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირი ან საქართველოს სსრ, გათვალისწინებულია ისეთი სანოტარო მოქმედება, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება შეასრულონ რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო სანოტარო კანტორებმა, ან, თუ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კომპეტენტურ სახელმწიფო სანოტარო კანტორას, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო ადგენს, თუ რომელმა სახელმწიფო სანოტარო კანტორამ უნდა შეასრულოს და რომელ მოკავშირე რესპუბლიკაში უნდა შესრულდეს აღნიშნული სანოტარო მოქმედება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1974 წლის 27 დეკემბერი.

ქვეყანა დღეს

გაათავისუფლეს რ. არისმენდი

ბამანა, 6 იანვარი. (საკ.). პრესა ლატინას საგენტომ გადასცა ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო აუწყებს ურუგვაელ ხალხს — რამდენიმე ხნის წინათ მთავრობამ გამოაცხადა, რომ მზად არის გაათავისუფლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი როდნეი არისმენდი იმ პირობით, თუ იგი დატოვებს ქვეყანას. ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ეს წინადადება მისაღებად მიიჩნია.

დიდი სიხარულის გრძნობით ცენტრალური კომიტეტის სამდივნო აუწყებს პარტიას, მუშათა კლასსა და მთელ ხალხს, რომ ამხანაგი რ. არისმენდი საპყრობილედან გამოვიდა. ამჟამად იგი საზღვარგარეთ იმყოფება“.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

დაარღვიეს საჰაერო სივრცე

ჰანოი. (საკ.). 4 იანვარს ამერიკის უპილოტო მზვერავმა თვითმფრინავმა დაარღვია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცე—გადაფრინა ქალაქ-ნავსადგურ ჰაიფონსს და ჩრდილოეთ ვიეტნამის მთელ რიგ სხვა რაიონებს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გამოქვეყნებული განცხადება შეიცავს მოთხოვნას, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაზვერვა.

ეგვიპტის მთავრობის სხდომა

კაირო. (საკ.). აქ გაიმართა ეგვიპტის მთავრობის სხდომა, რომელზეც განიხილეს ქვეყნის ეკონომიური განვითარების 1975 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის განხორციელების საკითხები. მინისტრთა კაბინეტმა განიხილა აგრეთვე ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური განვითარების 1976-1980 წლების გეგმის შემუშავების საკითხი და წინადადება მიაცა ქვეყნის პროვინციების გუბერნატორებს წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი.

მთავრობამ დაავალა ფინანსთა მინისტრს ერთი თვის განმავლობაში შეიმუშაოს სახელმწიფო სახსრების უფრო რაციონალური გამოყენების ღონისძიებანი.

ჯ. კარამანლისის განკარგულება

ათენი. (საკ.). საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კ. კარამანლისმა გასცა განკარგულება გამოიძიონ, ხომ არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს სხვადასხვა კონტრაქტი და ხელხი, რომლებიც ხელი მოაწერეს და მიიღეს სამხედრო ხუნტის მმართველობის პერიოდში. ამას გამოიძიებს მოსამართლეებისა და ექსპერტებისაგან შემდგარი სპეციალური კომიტეტი.

ეს გამოაცხადეს საბერძნეთის მთავრობის წამყვანი მინისტრების სხდომის შემდეგ. იმ პირთ, რომლებიც დამნაშავენი აღმოჩნდებიან სახელმწიფო ინტერესების დარღვევაში, დასჯიან.

დამნაშავენი განაიარაღეს

ბეირუთი. (საკ.). ლიბანის უშიშროების ძალებმა არმიის ქვეგანაყოფების მხარდამჭერით ქალაქ ტრიპოლში (ქვეყნის ჩრდილოეთით) განაბორკილეს იმ დამნაშავეთა ბანდის განიარაღების ოპერაცია, რომელიც მთელი ექვსი თვის მანძილზე ტერორისტულ აქტებს სჩადიოდა მოსახლეობის წინააღმდეგ.

როგორც ლიბანის ხელისუფალთა წარმომადგენელმა განაცხადა, დაპატიმრებულია ბანდის 75 წევრი.

პრემიერ-მინისტრების შეხვედრა

პარიზი, (საკ.). პარიზში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული ავსტრალიის პრემიერ მინისტრი ე. გ. უიტლემი შეხვდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრს ჟ. შირაკს.

ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა განიხილეს მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემები, მათ შორის ევროპასა და წყნარ ოკეანის რაიონში შექმნილი ვითარება. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა დადებითად ეკიდება საფრანგეთის მიერ წამოყენებულ იდეას მოეწყოს სამმხრივი თათბირი ნავთობის საკითხებზე.

გენერალური მდივნის განცხადება

კაირო, (საკ.). არაბთა სოციალისტური კავშირის სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება მიმდინარე წლის 1 იანვარს ეგვიპტის დედაქალაქში მომხდარი არეულობის გამო.

არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ასეთ არეულობას შეუძლია მხოლოდ ზიანი მიაყენოს მთავრობის მოქმედებას, რომელიც ესწრაფვის გადაწყვიტოს უკანასკნელ წლებში განხორციელებული იმ ღონისძიებების შედეგად წარმოშობილი ეკონომიური სიძნელეები, რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

წერილი უშიშროების საბჭოს

ნიუ-იორკი, (საკ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლიბანის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა ფაჭრი საგიამ უშიშროების საბჭოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ბრალად სდებს ისრაელს, რომ უკანასკნელი ოთხი კვირის მანძილზე, დაწყებული 12 დეკემბრიდან, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ლიბანის წინააღმდეგ ჩაიდინეს 423 აგრესიული აქტი.

ხუნტის უდელქვეშ

პარიზი, 7 იანვარი. (საკ.). 1974 წელს ფასების მატებამ ჩილეში 375 პროცენტი შეადგინა, წერს გაზეთი „ლუმანიტე“ და აანალიზებს გაჭირვებულ მდგომარეობას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაში შეიქმნა მას შემდეგ, რაც სამხედრო ხუნტამ ძალით იგდო ხელთ ძალაუფლება.

ახალი წლის წინ, აღნიშნავს გაზეთი, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ტარიფები გადიდდა 50 პროცენტით, ბენზინი და გაზი გაძვირდა 25-50 პროცენტით, ექიმის შინ გამოძახების ფასი 160 პროცენტით გაიზარდა. „ფასების ახალი მომატება, ხაზს უსვამს ფრანგ კომენისტთა გაზეთი, იმ მომენტში გამოცხადდა, როცა ქვეყანაში ნახევარი მილიონი მთლიანად უმუშევარი და ნახევარი მილიონი ნაწილობრივ უმუშევარია“.

ოქროს აუქციონი

ვაშინგტონი, 7 იანვარი. (საკ.). გუშინ შეერთებულმა შტატებმა დაიწყო დაახლოებით 350 მილიონი დოლარის საერთო ღირებულების 56 ტონა ოქრის აუქციონით გაყიდვა. აუქციონის დასაწყისისათვის მიიღეს მხოლოდ 30-ზე ცოტა მეტი განაცხადი ოქროს შესყიდვის თაობაზე, რაც, პრესის აზრით მოწმობს, რომ როგორც აუქციონის მომწყობთა შორის, ასევე საზოგადოებრივობაში გამეფებულია ყოყმანისა და გაურკვევლობის განწყობილება იმის გამო, რომ მთავრობამ გადაწყვიტა გაყიდოს ოქრო სახელმწიფო მარაგიდან.

მთავრობის ეს ღონისძიება ამერიკის შეერთებული შტატების პრესის აზრით დასავლეთის საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო სისტემის კრახი და დოლარის ოქროთი უზრუნველყოფაზე საბოლოო უარის თქმაა.

სად დაეცემა ნამსხვრევები?

ვაშინგტონი, 7 იანვარი. (საკ.). უზარმაზარი ნამსხვრევი „სატურნ-5“ ამერიკული რაკეტისა, რომელმაც 1973 წლის მაისში ორბიტაზე გაიყვანა ამერიკის კოსმოსური ლაბორატორია „სკაილაბი“, დაეშვა დედამიწიდან დაახლოებით 160 კილომეტრი სიმაღლის ორბიტაზე.

ეს მეორე საფეხურია რაკეტისა რომელიც, როგორც აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს სპეციალისტები აცხადებენ, დედამიწაზე უდა ჩამოვარდეს პარასკევს. მაგრამ ამერიკელი მეცნიერნი ვერ წინასწარმეტყველებენ 48 ტონა წონის მეორე საფეხურის რომელი ნაწილი გაუძლებს დაცემას ატმოსფეროს მკრივ ფენებში და სად ჩამოვარდება ნამსხვრევები.

მაგრამ მათი აზრით, ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ „კოსმოსური ნაგავი“ ჩავარდება ატლანტიკის ოკეანეში. რაკეტის ყველაზე მასიური ნაწილია ტანკი 2,7 ტონა წონის სათბობის ავზებს შორის, და რომ სწორედ ეს დეტალი „გაუძლებს“ ატმოსფეროს მკვრივ ფენებში გავლას, მაგრამ დაქუცმაცდება, და ისე ჩამოვარდება დედამიწაზე.

თვითმფრინავის კატასტროფა

ბუენოს-აირესი, 7 იანვარი. (საკ.). არგენტინის ჩრდილოეთში, ქალაქ ტუკუმანის მახლობლად, კატასტროფა განიცადა არგენტინის სამხედრო თვითმფრინავმა. დაიღუპა თვითმფრინავში მყოფი ცამეტივე კაცი: ორი არმიის გენერალი, რამდენიმე უფროსი ოფიცერი და ეკიპაჟის წევრები.

ნორჩ მეტეოროლოგებთან

ა. მაჰაჯარიანის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ჯარისკაცის ქვრივს სახლი აუშენეს

ტყიბული. (საკ. კორ.). ახალსოფელელ კოლმეურნეს, სამამულო ომში დაღუპულის მეუღლეს ბაბილინა ბრეგაძეს უბედურება დაატყდა თავს. მის საცხოვრებელ სახლში სიძველის გამო ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. უკვე ხანში შესული, მარტოხელა ქალი საგონებელში ჩავარდა. მას საკუთარი ძალით სახლის მშენებლობის წამოწყება არ შეეძლო.

განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის საშველად მთელი სოფელი დაიერაზმა. კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ გამოიტანა დადგენილება თავისი წევრისათვის ახალი საცხოვრებელი სახლის აგების შესახებ. სახსრაფოდ შეიქმნა მშენებელთა სახელდახელო კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გულისხმიერი და საქმიანი კოლმეურნე მ. ცირკიძე. არტელმა თავისი სახსრებით შეიძინა ყველა საჭირო სამშენებლო მასალა და იგი მშენებლობის ადგილზე მიზიდა. შეერთებული ძალით მშენებლობაც გაჩაღდა, ხულ მალე კოლმეურნის ეზოში ახალი ოდა-სახლი წამოიმართა.

ფეხბურთი

შავი ზღვის პირას

გაგრასა და ლესელიძეში გრძელდება ნორნ ფეხბურთელთა ტრადიციული ტურნირი სპორტის დაფსახურებული ოსტატის შოთა იამანიძის სახელობის პრიზზე.

გასული წლის ჩემპიონმა ქუთაისის „ტორპედომ“ მეორე გამარჯვება მოიპოვა — 1:0 თბილისის „სიჭაბუკესთან“.

მეორედ დამარცხდნენ მოხუმელი დინამოელები — მოსკოვის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდთან (1:3).

მოკლედ...

კალათბურთი. სვერდლოვსკში უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე მაია ჩიბურდანიძე, ოსტატების კანდიდატები ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და ქეთინო მელაშვილი, ვაჟთა ასპარეზობაში სხვებთან ერთად გამოდიან თბილისელები გენადი ხაილეკო და გია გრძელიშვილი.

წარმატებით აიღო სტარტი 13 წლის თბილისელმა მოსწავლემ ნინო გურიელმა, რომელიც 3 ტურის შემდეგ 3 ქულით ლიდერობს ტურნირს. იოსელიანსა და მელაშვილს აქვთ ორ-ორი ქულა. ჩიბურდანიძე ჯერჯერობით წარუმატებლად გამოდის — მან ერთი პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და ერთიც წააგო.

არასახარბიელოდ დაიწყეს შეჯიბრება ჩვენმა ბიჭებმაც, რომლებმაც წააგეს პირველივე შეხვედრები.

გუშინ გაიმართა მორიგი, მეოთხე ტური.

სამიდან სამი

ფინ ნინო გურიელია

ვილნიუსში მიმდინარეობს მოსწავლეთა საკავშირო პირადი პირველობები ჭადრაკში, რომლებშიც მონაწილეობს 36 ჭაბუკი და 24 გოგონა.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას გოგონათა შორის იცავენ საერთაშორისო ოსტატი მაია ჩიბურდანიძე, ოსტატების კანდიდატები ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და ქეთინო მელაშვილი. ვაჟთა ასპარეზობაში სხვებთან ერთად გამოდიან თბილისელები გენადი ხაილეკო და გია გრძელიშვილი.

წარმატებით აიღო სტარტი 13 წლის თბილისელმა მოსწავლემ ნინო გურიელმა, რომელიც 3 ტურის შემდეგ 3 ქულით ლიდერობს ტურნირს. იოსელიანსა და მელაშვილს აქვთ ორ-ორი ქულა. ჩიბურდანიძე ჯერჯერობით წარუმატებლად გამოდის — მან ერთი პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და ერთიც წააგო.

არასახარბიელოდ დაიწყეს შეჯიბრება ჩვენმა ბიჭებმაც, რომლებმაც წააგეს პირველივე შეხვედრები.

გუშინ გაიმართა მორიგი, მეოთხე ტური.

ეროვნიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. გ. დ. ყიფიანი დანიშნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

გ. ღონღაძე

გარდაიცვალა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გრიგოლ დავითის-ძე ღონღაძე.

გ. ღონღაძე დაიბადა 1897 წელს სოფელ სავანეში (საჩხერე) ღარიბი გლეხის ოჯახში. 1918 წელს გ. ღონღაძე გაიწვიეს არმიაში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში მეწმენდეური მთავრობის წინააღმდეგ. ამის გამო მას ამტანმორეულნ. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ უბრუნდება თავის სოფელს.

1921 წელს გ. ღონღაძე შედის კომუნისტური პარტიის რიგებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ირჩევენ საჩხერის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ. 1923 წლიდან 1927 წლამდე მუშაობდა ქ. ჭიათურაში მარგანეცის ამწმენდელად. 1929 წელს მისი ინიციატივით სოფელ სავანეში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, მის თავმჯდომარედ არჩეული იქნა გ. ღონღაძე. 1933-1939 წლებში იყო მთელ რიგ პასუხსაგებ თანამდებობებზე.

1941 წელს გ. ღონღაძე გაიწვიეს სამამულო ომში. ომის დამთავრების შემდეგ (იყო სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი) მუშაობდა დიმიტროვის სახელობის მაღარაში ცვლის უფროსად. 1965 წლიდან გადავიდა პენსიაზე.

გ. ღონღაძე დაჯილდოებული იყო ორდენებით და მედლებით. სოციალიურნერო მოძრაობის ვეტერანს, პრინციპული და თავმდაბალი ადამიანის გ. ღონღაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ლევან პეტრეს-ძე გოკიელი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, მუზეუმის დირექტორის ყოფილი მოადგილე სამეცნიერო დარგში, სკკპ წევრი 1911 წლიდან

ივანე ალექსის-ძე ჯაფარიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია

8 იანვარი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების გამო: პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ცივილიას თავგადასავალი“ მეორე და მესამე სერია (ქართულ ენაზე), 11.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „იყო ნამდვილი მედფდფე“, 15.00 — მოსწავლეთათვის ზამთრის არდადეგების გამო: „საახალწლო ნაძვისხესთან“, 16.00 — ტელეფილმები: „ბეღის სიმღერა“ და „დრამა“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.45 — ბავშვებისათვის. მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მებადურის ზღაპარი“, 18.35 — განცხადებები, 18.40 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მულტიპლიკაციური ფილმი „ჯადოქარი ზურმუხტების ქალაქიდან“ (მეშვიდე სერია), 19.00 — „მსოფლიო დღეს“, 19.15 — „ჩვენი რესპუბლიკის ხვალინდელი დღე“, 19.45 — კონცერტი, 20.15 — „მოამბე“. — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — ფერადი ტელევიზია. იტალიური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „პუჩინი“. პრემიერა (მესამე სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა კიევიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სატელევიზიო სპექტაკლი „სიღარიბე სარახისი როდია“, 19.45 — „კინოაფიშა“, 20.15 — კინონარკვევი, 20.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი მხატვრული ფილმი „სისხლიანი ქვა“.

რადიო

9 იანვარი

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — მუსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „კომუნისტი მეტალურგები ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში“, 12.15 — დ. კაბალევსკი. საფორტეპიანო პიესები, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — სიმღერები ჟ. ბრელის შესრულებით, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 14.00 — „მუსიკალური შეხვედრები“ (ესტონეთის რადიოს გადაცემა), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ა. კერესელიძე. ნაწყვეტები ოპერა „ბაში-აჩუკიდან“, 17.35 — მოსწავლეთათვის. საუბარი „გაუფრთხილდი შენს სახელს“, 18.05 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „საბჭოთა საერთო-სახალხო სახელმწიფო ნამდვილი დემოკრატიის განსახორციელებაზე“, 19.20 — დ. არაყიშვილი. რომანსები, 19.45 — ო. ფილცმანი. სიმღერები ვოკალური ციკლიდან „ქალის სიყვარული“, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.30 — კონცერტი-საუბარი „მეჩონგური ქალთა ანსამბლი ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით“, 21.00 — „ტელესპირული“, 21.10 — საუბარი „ფოლკლორი და თანამედროვეობა“, 21.40 — კონცერტი სიმფონიუსის, ე. ერიგისა და ე. ელმარის ნაწარმოებებიდან, 23.30